ხელშეკრულება 53

დ. სურამი 11 აპრილი, 2023 წელი;

ერთის მხრივ, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (შემდგომში– შემსყიდველი),ი დირექტორის კახაბერ ძიმისტარიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ს "გორმედი“ ს/კ417876711 (შემდგომში–მიმწოდებელი),წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვლადიმერ კეპულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. _შპს „აღმოსავლეთ საქართელოს ფსიქიკური ჯანმრთლობის ცენტრის“ მიერ სამედიცინო (ტრანსფუზიოლოგის) მომსახურების შესყიდვა (C*PV85141000*, 85145000)

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია შპს „ აღმოსავლეთ საქართელოს ფსიქიკიური ჯანმრთელობის ცენტრის“: სურამის ფსიქიატრიული კლინიკის ბენეფიცირების მკურნალობის საჭიროებიდან გამომდინარე, ტრანსფუზიოლოგის მომსახურების გაწევა;

2.2. გასაწევი მომსახურება მოიცავს მომსახურებისთვის საჭირო ყველა სახარჯი მასალის და კოპონენტის ხარჯს;

2.3. მომსახურების გაწევა მოხდება შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის დღესვე. „შემსყიდველი“ თვითონვე, საკუთარი ხარჯითა და რესურსით უზრუნველყოფს ბენეფიციარის ადგილზე (ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი 14ა) მიყვანას:

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 800 (რვაასი) ლარი, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევისთვის საჭირო ყველა ხარჯს და კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.;

3.3. ტრანსფუზიის 1 მომსახურების ღირებულება ერთ ბენეფიციარზე განისაზღვრება 200 ლარით;

3.4. მომსახურების გაწევის ადგილია ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი 14ა;

3.5. მომსახურების გაწევა მოხდება ეტაპობრივად, შემსყიდველის საჭიროების გათვალისწინებით. გაწევის საბოლოო ვადაა 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

51. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

5.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურბის შესაბამის თანხაზე, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუმეტეს 25 (ოცდახუთი) საბანკო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. მყიდველი ვალდებულია:

- სრულად გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

-"მყიდველი" ვალდებულია წინასწარ აცნობოს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ "სისხლის ბანკს" და აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში ორგანიზება გაუკეთოს ნათესავი დონორების მოყვანას. - „შემსყიდველი" ვალდებულია თვითონვე, საკუთარი ხარჯითა და რესურსით უზრუნველყოს ბენეფიციარის ადგილზე (ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი 14ა) მიყვანა;

6.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

- გაუწიოს შემყსიდველს უსაფრთხო, ხარისხიანი მომსახურება არსებული სისხლი მარაგის ფარგლებში.

6.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარდგენილი ანგარიშის მიხედვით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისთვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს

გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან და მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადაა 2024წლის 31 იანვრის ჩათვლით, ამასთან გრძელდება ავტომატურად თუ რომელიმე მხარემ არ გამოთქვა წერილობით სურვილი მისი შეწყვეტის შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 .წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10. 2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება დამოწმებულია მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწრით და/ან შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“	“შემსყიდველი“
შპს „გორმედი“ ჯანმრთელობის ცენტრი“	შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური
ს/კ: N**417876711**	**ს/კ243123455**
მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი #14	დაბა სურამი 7(12)
ელ-ფოსტა: hrgormedi@gmail.com	ელ ფოსტა ps.hosp2017@gmail.com
„საქართველოს ბანკი“	„საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი:
BAGAGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE43G0000000279131601	ა/აGE02BG0000000267299600
გენერალური დირექტორი:	დირექტორი
ვლადიმერი კეპულაძე	კახაბერ ძიმისტარიშვილი

Vladimeri Kepuladze Digitally signed by Vladimeri Kepuladze Date: 2023.04.13 13:29:33 +04'00'

“Mental Health Center of East Georgia” LTD Digitally signed by “Mental Health Center of East Georgia” LTD Date: 2023.04.11 11:20:17 +04'00'